ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #31

05 მარტი 2012 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო

ერთის მხრივ სამტრედიის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), საკრებულოს თავმჯდომარის ალექსანდრე ჯვარშეიშვილის სახით (საიდენტ. კოდი 238769025, მომსახურე ბანკი - სს ,,პრივატბანკი" სამტრედიის ფილიალი, ბანკის კოდი 220101702, ანგარიშის # GE65TP0033030020000575)

და მეორეს მხრივ შ.პ.ს ,,არქიტექტორი" დირექტორის ანზორ კოპალეიშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი") (საიდენტ. კოდი 238747255, მომსახურე ბანკი - სს ,,ბანკი რესპუბლიკა" სამტრედიის ფილიალი, ბანკის კოდი REPLGE22, ანგარიშის # GE02 BR00 0001 0849 8086 04)

იმის გათვალისწინებით, რომ ,,შემსყიდველმა" ჩაატარა კონკურსი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტისათვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან (რ.გ.ფ) გამოყოფილი სპეც. ტრანსფერის (600000 ლარის) ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ასევე შესაბამისი ნახაზების (ასეთის სჭიროების შემთხვევაში) შედგენასთან დაკავშირებული მომსახურეობის შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა ,,მიმწოდებლის" სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურეობა შედგენილი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულების 2,5%-ს ოდენობის შესაბამის თანხაზე, რომლის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 14395 (თოთხმეტიათას სამასოთხმოცდა თხუთმეტი) ლარის ოდენობით.

(შემდგომში ,,ხელშეკრულების ღირებულება").

გასაწევი მომსახურეობის შესაბამისი - CPV კოდი:

7120 0000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურეობები

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3.,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში ,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურეობის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო წესებითა და ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. საპატენტო უფლებები.

3.1. მომსახურეობის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენების საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

4.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ სამუშაოების შესრულების პარალელურად განახორციელოს კონტროლი შესრულებულ სამუშაოებზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა,

4.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ზედამხედველობის, ადგილობრივი მოსაკრებლების, შესყიდვების, სამეურნეო-ტექნიკური უზრუნველყოფის, სტატისტიკის, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის **განყოფილების უფროსი ირაკლი სულავა**

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1. მომსახურეობის გაწევის ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურეობა გაწიოს ხარისხიანად.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშწორება

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად, მომწოდებლის მხრიდან გაწეული მომსახურეობის პარალელურად;

6,2 შესყიდვის ობიექტი ითვლება ჩაბარებულად შესაბამისი მიღება_ჩაბარების აქტის გაფორმების ან სასაქონლო ზედნადების მხარეთა მიერ დამოწმების შემდეგ

6,3 შესყიდვის ობიექტის მიმღებ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ,,4,5" პუნქტით გათვალისწინებული სამსახური.

6,4 ,,შემსყიდველსა" და ,,მომწოდებლს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანხობრივი პარამეტრების გაკონტროლებისა და ,,მომწოდებლი"-ს მიერ გაწეული მომსახურეობის მოცულობის მიხედვით ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას თავად განსაზრვროს ,,მომწოდებლის" დაფინანსების ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს **შედგენილი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულების 2,5%-ს**

6.5 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში, უნაღდო ფორმით

7. მხარეთა ვალდებულებები:

7.1 ,,მომწოდებელი" ვალდებულია:

ა) თითოეულ სამუშაოზე შეადგინოს საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისი ნახაზებით (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) შედგენის მომენტისათვის არსებული სტანდარტებისა და ნორმების სრული დაცვით, რომელიც უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედით დამოწმებული

ბ) დახმარება გაუწიოს ,,შემსყიდველს" სხვადასხვა სამუშაოთა დაგეგმარების პროცესთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებში.

7.2 გასაწევი მომსახურეობის ტექნიკური დავალება გულისხმობს:

ა) ,,მოწოდებელი ერთპიროვნულად აგებს პასუხს მის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვისა და პროექტის მოქმედ ნორმებთან და წესებთან შესაბამისობაზე და ვალდებულია მომსახურეობის გაწევისას იხელმძღვანელოს სახელმწიფო სახსრების რაციონალურად ხარჯვის პრინციპით.

ბ) ,,სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული საგეგმო პარამეტრების დაცვის მიზნით ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ,,მოწოდებელს" მოახდინოს მის მიერ შედგენილი საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა, რომლის საფუძველი შეიძლება იყოს შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების ცვლილება, გამოსაყენებელ მასალათა სახეობების ცვლილება და. ა.შ.

გ) იმ შემთხვევაში თუ კი ელექტრონული ტენდერის შედეგად მიღებული იქნება ეკონომია რ.გ.ფ-დან გამოყოფილი თანხის ფარგლებში დაგეგმილ სამუშაოებზე და ,,შემსყიდველი" აღნიშნული ფონდ(ებ)ის ფარგლებში დაგეგმავს დამატებით სამუშაოებს, ,,მომწოდებელი" ვალდებულია დამატებით დაგეგმილი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ,, შემსყიდველს" მიაწოდოს უსასყიდლოდ.

7.3. ,,7,2" მუხლის ,,ბ" პუნქტით გათვალისწინებული მომსახურეობა ,,მომწოდებლი"-ს მიერ შესრულებული იქნება დამატებითი ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე

7.4 კონკრეტული საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადად განისაღრვრება ,,შემსყიდველი'-ს მხრიდან შესაბამისი სადეფექტო აქტის მიწოდებიდან 7 (შვიდი) დღე.

7.5 ,,შემსყიდველი" ვალდებულია :

ა) დაიცვას სახულშეკრულებო პირობები და დადგენილ ვადებში ვადაში უზრუნველყოს ,,მომწოდებლის" დაფინანსება;

8. ფასები

8.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

8.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **14395 (თოთხმეტიათას სამასოთხმოცდა თხუთმეტი) ლარს.**

8.3. ფასების ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფაქტების დადგომისას.

8.4. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო

შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1. ,,მიმწოდებელს" **არ აქვს უფლება აიყვანოს სუბკონტრაქტორი.**

12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1. ხელშეკრულების შესრულების გარანტია გამოყენებული არ იქნება.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრულფასოვნად შესრულებისათვის, ასევე ,,7,4" პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის მიმწოდებელს ყოველდღიურად დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველი კონკრეტული დასაპროექტებელი ობიექტის (რომელზედაც მას წარმოეშვა ვალდებულება შეადგინოს საპროექტო დოკუმენტაცია) სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს შესაბამისი მომსახურეობა

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურეობის ღირებულება.

15. ფორს-მაჟორი

15.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

17.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. შეტყობინება

19.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულმ მეორე მხარის მისამართზე.

19.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს გასაწევი მომსახურეობის გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელები გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

20.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

21.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერის დღიდან და 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

22. სხვა პირობები

22.1. არც ერთი მხარე არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

22.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, **ოთხ ეგზემპლარად**, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

22.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სამტრედიის მუნიციპალიტეტი საკრებულოს თავმჯდომარე:	შ.პ.ს „არქიტექტორი დირექტორი:
ალექსანდრე ჯვარშეიშვილი	ანზორ კოპალეიშვილი

_____ 2012 წელი